თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2026 წლის 26 ივნისის სხდომის

ო ქ მ ი N 4

2026 წლის 26 ივნისს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, ვალერიან ვაშაკიძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ელდარ ბუბულაშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევნები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევნები.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს მოახსენა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხლმძღვანელთა ასარჩევად კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულია შემდეგი კანდიდატურები:

ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ლევან გორდეზიანი;
შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - მარიამ ჩხარტიშვილი;
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ავთანდილ სონღულაშვილი;
საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ქეთევან ხუციშვილი;
კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად

- როლანდ თოფჩიშვილი;
ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად - ლიანა ბითაძე.

სამეცნიერო საბჭომ განიხილა თითოეული კანდიდატის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი საბუთები. დოკუმენტები სრულად შეესაბამებოდა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილების - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ნაწილში დამტკიცების შესახებ“ (თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 17 ნოემბრის №140/2017 დადგენილება, დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №5, 27.12.2017) მოთხოვნებს.

კანდიდატებმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინეს თავიანთი ხედვა შესაბამისი განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების შესახებ.

გაიმართა მსჯელობა კანდიდატურების შესახებ. **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა და სხვა.

სამეცნიერო საბჭოს წევრთაგან აირჩიეს ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარე), ს. ოქრუაშვილი, ვ. კიკნაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ საბჭოს წევრს, რომელიც მონაწილეობს კონკურსში, არ მიეღო შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ასარჩევ კენჭისყრაში მონაწილეობა.

კანდიდატების ასარჩევად ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

ლევან გორდეზიანს ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 15 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0;
მარიამ ჩხარტიშვილს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 15 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0;
ავთანდილ სონღულაშვილს ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად; მომხრე - 15 წინააღმდეგი - 0 თავი

შეიკავა - 0;
ქეთევან ხუციშვილს საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 15 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0;
როლანდ თოფჩიშვილს კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 15 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0;
ლიანა ბითაძეს ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად: მომხრე - 15 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

ლევან გორდეზიანმა დაიკავოს ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 10 წლის ვადით) თანამდებობა;
მარიამ ჩხარტიშვილმა დაიკავოს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უვადო) თანამდებობა;
ავთანდილ სონღულაშვილმა დაიკავოს, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 10 წლის ვადით) თანამდებობა;
ქეთევან ხუციშვილმა დაიკავოს საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უვადო) თანამდებობა;
როლანდ თოფჩიშვილმა დაიკავოს კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უვადო) თანამდებობა;
ლიანა ბითაძემ დაიკავოს ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უვადო) თანამდებობა.

ეთხოვოს ინსტიტუტის დირექტორს დაამტკიცოს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების არჩეული ხელმძღვანელები და წარუდგინოს ბრძანება დამტკიცების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

26. 06. 2026

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2026 წლის 26 ივნისის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- ვალერიან ვაშაკიძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი